



08.02.2013

## დაცული ტერიტორიები საფრთხეში



შეუერთდი განხილვას

„დარიალიჰესის“ მშენებლობისათვის ყაზბეგის ეროვნულ პარკს ტერიტორიის ნაწილი ჩამოეჭრება. მთავრობის ეს ინიციატივა, რომელიც „დაცული ტერიტორიის სტატუსის“ შესახებ კანონში შევიდა, პალამენტმა უკვე მეორე მოსმენით მიიღო.

ცვლილებების მიხედვით, ყაზბეგის ეროვნულ პარკს დაახლოებით 9 ჰექტარი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამო ჩამოეჭრება. ამის შესახებ პარლამენტში 17 თებერვალს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ ნინო ენუქიძემ ისაუბრა. მისი თქმით, კანონპროექტის მიზანია იმ ფართობისთვის დაცული ტერიტორიების სტატუსის მოხსნა, რომლებიც ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხვდებიან.

„ყაზბეგში, დარიალის ხეობაში 108 მეგავატი სიმძლავრის ჰესი შენდება. იქედან გამომდინარე, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკი პატარ-პატარა ნაკვეთებადაა დაქსაქსული, გვირახის ნაწილი და სათავე ნაგებობის ნაწილი დაცულ ტერიტორიაზე მოხვდა. ამიტომ მთვარობის ინიციატივით, სურვილი გვაქვს 8,7 ჰექტარი ამოვრიცხოთ ამ ტერიტორიიდან“

„დარიალიჰესი“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, მდინარე თერგის მარჯვენა ფერდზე, მდინარე ყუროს და ხდის წყალს შორის შენდება. პროექტის მიხედვით, ჰესი ექსპლუატაციაში 2014 წელს უნდა შევიდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე ალტერნატივა“ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის თავჯდომარეს და კომიტეტებს შენიშვნები გაუგზავნა. ორგანიზაცია ამ კანონპროექტის განხილვის შეჩერებას მოითხოვს. „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსის, ქეთი გუჯარაიძის თქმით, ეს კანონი პარლამენტში არაუფლემოსილი ორგანოს მიერ იყო წარდგენილი და ის ინიციატორს, ანუ მთავრობას უნდა დაუბრუნდეს. მისივე თქმით, კანონპროექტი გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების დაფარვას ემსახურება.

საქმე ეხება ექსპერტიზის დადებით დასკვნას, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ ჰესის მშენებლობის პროექტზე გასცა. რადგან „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონი არ უშვებს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მსგავსი საქმიანობის განხორციელების (ჰესის მშენებლობის) შესაძლებლობას. ორგანიზაციის ინფორმაციით, სამინისტრომ კანონი დაარღვია.

„მწვანე ალტერნატივამ“ განცხადებაც გაავრცელა, სადაც წერია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონი ადგენს, რა შემთხვევაში და რომელი უწყების ინიციატივით არის შესაძლებელი დაცული ტერიტორიის შემცირება.

კერძოდ, კანონის მიხედვით დაცული ტერიტორიების დროებით და სამუდამოდ გაუქმება, ტერიტორიული შემცირება და დაცვითი კატეგორიის დაქვეითება მხოლოდ საგანგებო შემთხვევაშია (დაცული ეკოსისტემის კატასტროფული და შეუქცევი რღვევა, ფართო აღდგენითი სამუშაოების აუცილებლობა) დაშვებული. ამკარაა, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კანონით განსაზღვრული საგანგებო შემთხვევა ცალსახად არ არის. ამდენად, ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დაცული ტერიტორიის ტერიტორიული შემცირება უკანონოა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ყაზბეგის ეროვნული პარკი მაღალი მთის ეკოსისტემების დაცვას ემსახურება. ეროვნული პარკის მცენარეული საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი დიდი კავკასიონის სწორედ იმ ნაწილშია მოქცეული, რომელიც ენდემური სახეობების სიმდიდრით გამოირჩევა. ამ

ფლორისტულ ოლქში გავრცელებულია 1347 სახეობის მცენარე. ასევე, წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველების უნიკალური სახეობები სწორედ ამ პარკშია დაცული"



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

**Comment**

Facebook social plugin

